ხელშეკრულება № 6
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

25 იანვარი 2019 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ შპს სარაგბო კლუბი ბათუმი (მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25) წარმოდგენილი დირექტორის ზვიად უნგიაძის სახით (შემდგომში ,,დამკვეთი“) და მეორე მხრივ **შპს „მედიაცენტრი მთავარი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე გულუას (39001002829) (შემდგომში „შემსრულებელი“) სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

---

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. CPV92400000 კოდი.

1.2 დამკვეთის საქმიანობისა და ღონისძიებების შესახებ, დამკვეთის მიერ მომზადებული საინფორმაციო მასალის (ფოტოსთან ერთად) გავრცელება მედიაცენტრი მთავარის პორტალზე WWW.MCM.GE (თვეში არაუმეტეს 5 -ჯერ);

1.3 დამკვეთის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ანონსების გავრცელება პორტალზე WWW.MCM.GE და პარტნიორ სააგენტოებზე (ულიმიტოდ).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თვეში 250 ლარის ოდენობით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **3000 (სამი ათასი ლარი)** ლარი.

3. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მომსახურების შესრულებისა და დამკვეთის მიერ მისი მიღების ფაქტი დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
3.2 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მინდია ღლონტი - შპს სარაგბო კლუბი ბათუმი“-ის დირექტორის მოადგილე
3.3 დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 3 დღის ვადაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

დამკვეთი უფლებამოსილია:

4.1.1 შემსრულებელს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

4.1.2 სათანადო ანაზღაურების გაწევის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ შემსრულებელი ჯეროვნად ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

4.1.3 ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და მოითხოვოს შესაბამისი წერილობითი ანგარიში.

4.1.4 ყოველი თვის ბოლოს განახორციელოს მომსახურების მონიტორინგი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.1.5 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის 1 (ერთი) კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

დამკვეთი ვალდებულია:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით შემსრულებელს გადაუხადოს მომსახურების საფასური.

4.2.2 მოსთხოვოს შემსრულებელს, ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ყველა სახის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება.

შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.3.1 დამკვეთს მოსთხოვოს გაწეული სამუშაოების მომსახურების ღირებულების, ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ვადაში გადახდა.

4.4.შემსრულებელი ვალდებულია:

4.4.1 მაღალკვალიფიციურ და დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით შეასრულოს სამუშაოები.

4.4.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობისა და საყოველთაოდ აღიარებული მედია სფეროში მოქმედი წესების შესაბამისად.

4.4.3სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.4.4 დამკვეთს ან/და მის წარმომადგენელს მიაწოდოს ყველა სახის ინფორმაცია სამუშაოების ჩატარების პროცესში.

4.4.5 არ გაახმაუროს მეორე მხარის კომერციული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

5. პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.

5.2 შემსრულებელი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, დადგენილი ფორმატის შესაბამისად, დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არასრულად ან უხარისხოდ განათავსებს დამკვეთის მიერ მიწოდებულ პრესრელიზს/ინფორმაციას, იგი ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი და განმეორებით განათავსოს მედია პროდუქტი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი, არასაპატიო მიზეზით, არ განათავსებს დამკვეთის მიერ მიწოდებულ პრესრელიზს/ინფორმაციას, დამკვეთს უფლება აქვს დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით ვალდებულების ღირებულების 0,01% (ნული მთელი ერთი მეასედი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3 დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის დაგვიანების შემთხვევაში, დამკვეთი შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის გადასახდელი თანხის 0,01% (ნული მთელი ერთი მეასედი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.5 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, რისთვისაც დამკვეთს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი, შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს ზემოაღნიშნული ზიანი/ზარალი, მოთხოვნიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში.

6. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებითი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილი ცვლილება ან დამატება ბათილია შეტანის მომენტიდან.

6.2. ყველა დამატება, ცვლილება ან შეთანხმება, რომელიც მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქნება დადებული, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. ფორს- მაჟორი

7.1 მხარეები თავისფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.

7.2 დაუძლეველ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცვლიან, აჩერებენ ან წყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს, ნებისმიერი ხასიათის საომარი მოქმედებანი და სხვა ამგვარი მოვლენები, რომელთა წარმოშობაზე ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ.

7.3 ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.4 ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორსმაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

7.5 თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ერთ კვირაზე მეტხანს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება შემსრულებელს დამკვეთისგან ანიჭებს, ხელშეკრულების 1.1 პუნქტში გათვალისიწინებული ფუნქციების განხორციელების უფლებას.

8.2 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხარეთა შორის შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მეშვეობით.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 25 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

9.3 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი

შპს სარაგბო კლუბი ბათუმი“
ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25
საიდ. კოდი 445393495
ვითიბი ბანკი ჯორჯია
ა/ა GE07 VT 5500000000133408

შემსრულებელი

შპს „მედიაცენტრი მთავარი“
მის. ქ. თბილისი, დიღმის მასივი (ნაკვეთი 25)
ს/კ: 402084427
სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE88TB7048936020100013
საკონტაქტო პირი: 599726565

დირექტორი

დირექტორი ზვიად უნგიაძე

დირექტორი:
ეკატერინე გულუა